აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№106 (24.986) ხუთშაბათი, 29 - 30 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრეზიდენტი ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ხავიერ კოლომინას შეხვდა. ხავიერ კოლომინამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე, ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერა. „ხაზგასმით აღინიშნა საქართველო-ნატოს ორმხრივი ურთიერთობები, რომელიც დინამიკურად ვითარდება და ინსტიტუციური და დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობა, ასევე, საქართველოს განსაკუთრებული როლი რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გარემოსა და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში“, - აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

* * *

ორგანიზაციები, რომლებიც ხან პარლამენტს, ხან მთავრობას, ხან პარტიებს მიუთითებენ, რომ რაღაც პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, უნდა იყოს კრიტერიუმებზე დაყრდნობით და საჯარო, დახურული, არაგამჭვირვალე პროცესით, კრიტერიუმების გარეშე გარიგდნენ რომელიღაც კანდიდატებზე, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, რითაც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცველის პოსტზე დასახელებული კანდიდატების, ნაზი ჯანეზაშვილის, გიორგი ბურჯანაძის და ანა აბაშიძის შერჩევის პროცესი შეაფასა. „მაქვს იმედი, რომ პარლამენტში წარმოდგენილი პარტიები მივაღწევთ შეთანხმებას სახალხო დამცველის კანდიდატურასთან დაკავშირებით“, - დასძინა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

ლარსის საზღვართან ახლა არის არაორდინარული სიტუაცია - სტანდარტულად, დღის განმავლობაში რუსეთის 5-6 ათასი მოქალაქე იყო შემომსვლელი, რაც ბოლო პერიოდში 40-45 პროცენტით გაიზარდა. თითოეული მოქალაქის შესწავლა ხდება, - განაცხადა შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ. მისი თქმით, ლარსის პუნქტზე დამატებითი ძალები გაიგზავნა, პოლიციას აქვს გაზრდილი დატვირთვა, თუმცა არსებული რესურსებით გამოწვევას უმკლავდებიან.

* * *

„ნაციონალური მოძრაობა“ ინიციატივით გამოდის, რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში შემოვლენ, „საოკუპაციო შენატანის“ გადახდის ვალდებულება დაეკისროთ. როგორც დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, საოკუპაციო შენატანი ლარებში იქნება განსაზღვრული: 1000 ლარის ოდენობით - თითოეულ მოქალაქეზე.

მოამზადა
ია შველიძემ

უსკოს სამი წევრი ფარული კენჭისყრით აირჩიეს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოს რიგგარეშე სესიაზე დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით, 13-13 ხმით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამი წევრი: ზაალ ზაალიშვილი, თამარ ქამადაძე და ციალა შავაძე აირჩიეს 5 წლის ვადით



ფარული კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზში იმყოფებოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები, რომლებმაც წარდგენილი კანდიდატურები გააპროტესტეს და სხდომა დატოვეს.

- სუსის მითითებით შეარჩიეს კანდიდატები, კონკრეტულად, ეს გახლავთ ზაალ ზაალიშვილი. ეს არის ადამიანი, რომლის ჩვენების საფუძველზე 2020 წლის არჩევნებზე ხუსკივაძე და კობალაძე დაკავეს, როცა მათ ამხილეს გაყალბებული არჩევნები, ციალა შავაძე კი არის ოლქის თავმჯდომარე, რომელმაც გააყალბა არჩევნები. ის „ქართული ოცნების“ აქტივისტი იყო, რაშიც არაერთხელ ვამხილეთ. რა თქმა უნდა, ამ ფარსში არ მივიღებდით მონაწილეობას, რის გამოც, პროტესტის ნიშნად, დავტოვეთ სხდომათა დარბაზი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართულ, ანუ რუსულ ოცნებას ხელი შევუშალოთ ყველა არასწორ ქმედებაში, - განაცხადა ელგუჯა ბაგრატიონმა.

ელგუჯა ბაგრატიონის მისამართით მმართველი გუნდის წევრების მიერ გაკეთებულ რეპლიკას, რომ ზაალ ზაალიშვილი მათი ხელისუფლების დროსაც მუშაობდა, დეპუტატმა უპასუხა, რომ „ქართული ოცნების“ უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყო თავის დროზე. ყველა ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კომფორტზე ფიქრობს და სხვა ინტერესი არ აქვს, რა თქმა უნდა, ყველა ხელისუფლებაში მუშაობს და ყველა ხელისუფლების დროს ირგებს თბილ სკამებს.

ოპონენტების ბრალდებებზე საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ აღნიშნა, რომ ვერავინ შეახსენებს ერთ საკითხსაც კი, რომელიც ოპოზიციონერ დეპუტატებს მოეწონათ მისი ხელმძღვანელობის დროს, შესაბამისად, ის არ აპირებს მათთან პოლემიკაში შესვლას.

- ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ფარული კენჭისყრით არჩეულ სამივე პიროვნებას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება საარჩევნო კომისიებში და ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობის. შესაბამისად, ჩვენ საფუძვლიანად ავირჩიეთ აღნიშნული პიროვნებები. რამდენად კვალიფიციური არიან ისინი, ეს შემდგომ, უკვე სამუშაო პროცესში დადასტურდება, - განაცხადა დავით გაბაიძემ. უსკოს სამივე წევრი 27 სექტემბრიდან შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას.

მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის დასრულდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

პატარების დიდ ფორუმში 69 ქვეყნის 800-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის, ყველაზე მეტი მასპინძელი ქვეყნიდან - საქართველოდან იყო - 108

მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ტური 27 სექტემბერს, დილით გაიმართა, საღამოს კი საზეიმო ცერემონიას დაესწრო ფიდეს პრეზიდენტი არკადი დვორკოვიჩი, რომელიც მას 2018 წლიდან ხელმძღვანელობს. იგი შეკრებილებს მიესალმა, საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს გამარჯვება მიულოცა, მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს თანადგომისთვის, მასპინძლებს - ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის, მოჭადრაკეებს - მასში მონაწილეობისთვის.

ოთხი კონტინენტის ასობით ჭაბუკი და გოგონა 16-დან 27 სექტემბრის ჩათვლით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაუფლებლად იბრძოდა. სპეციალისტების თქმით, წლევანდელი ჩემპიონატი ფიდეს სტანდარტებით, ძალიან მაღალ

იხ. გვ-7 ბ3.

სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კანონს შორის?

4

აჭარაში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია დაიწყო

7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

კუნძულის მშენებლობა – 24-საათიან რეჟიმში

აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმში უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის - ხელოვნური კუნძულის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ადგილზე გაეცნო

„ამბასადორი ჯგუფი" 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. კუნძულის ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად უკვე შექმნილია 2 ჰექტარი ტერიტორია ზღვაში. დასრულდა ზღვის ფსკერის გეოლოგიური და ბათიმეტრიული კვლევები. საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობდა საფრანგეთსა და თურქეთში. მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს წყლის მოდინებაზე დაკვირვება.

„ამბასადორი ჯგუფი" პროექტის პირველი ფაზის განსახორციელებლად 100 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, სადაც 2000 ადამიანი დასაქმდება. კუნძულზე იგეგმება მაღალი კლასის სასტუმროების, აპარტამენტების, გასართობ-გამაჯანსაღებელი სივრცეების, ვილების, საგანმანათლებლო დაწესებულების და იახტკლუბის განთავსება. კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა, ბათუმის მერმა, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა დაათვალიერეს", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

საკრებულოს კომისიის სხდომაზე 6 საკითხი განიხილეს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის საკრებულოში გუშინ ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი განიხილეს

სხდომაზე წარმოდგენილი ორი საკითხი შეეხებოდა მუნიციპალიტეტის ორ ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობის დაწესებას. კერძოდ, იგეგმება ანგისის ქუჩისა (აღმაშენებლის ქუჩის წრიულიდან გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩამდე მონაკვეთში) და მარუხის ქუჩის (შავშეთის ქუჩიდან სოხუმის ქუჩის მონაკვეთამდე) ცალკეულ მონაკვეთებზე ავტომობილებისთვის, გარდა სპეციალური დანიშნულების ავტომანქანებისა, ცალმხრივი მოძრაობის დაწესება.

კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის განახლებული მარშრუტების დამტკიცების საკითხი. კერძოდ, ცვლილება შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსების N6 და N14 სამარშრუტო ხაზების მოძრაობის სქემაში, რომელთა მარშრუტს ემატება ორბელიანის ქუჩის ერთ-ერთი მონაკვეთი.

კომისიამ იმსჯელა „ხელმისაწვდომი საცხოვრისის" მუნიციპალურ პროგრამაში მონაწილე ოჯახებისთვის, რომლებსაც პირველ და მეორე ეტაპზე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული აქვთ 40 000 ქულა, საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 (ორმოცი ათასი) სარეიტინგო ქულის მიხედვით შერჩეული აპლიკანტები წარმოადგენენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის" მიერ გაცემულ ინფორმაციას/ცნობას შემოსავლების თაობაზე არანაკლებ სარგებლობაში გადაცემის დროისათვის უკანასკნელი ერთი წლის პერიოდის შესახებ (რომლითაც დგინდება დაწესებული ქირის ოდენობის გადამხდელუნარიანობა), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე ელექტრონული ბაზის მიხედვით სხვა კრიტერიუმების გადამოწმება, განხილვა და კრების ოქმის საფუძველზე ქულების შენარჩუნება ან/და უარყოფა.

კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების საკითხი. პროექტის მიხედვით, ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N 68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 05.22.30.004) მდებარე ერთსართულიანი, ბარაკული ტიპის, ამორტიზებული საცხოვრებელი სახლები ჩანაცვლდება 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლით, არ მოხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა. დამტკიცების შემთხვევაში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია კონცეფციას შესათანხმებლად გადააგზავნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, საიდანაც მოსული დასკვნის შემდეგ განიხილება გეგმა/პროექტი.

კომისისიის წევრებმა სხდომაზე წარმოდგენილი საკითხების საკრებულოს სხდომაზე განხილვას მხარი დაუჭირეს.

აგროტურები – ცნობიერების ასამაღლებლად

დარინა ბაბაიძე 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა" ფარგლებში განხორციელდა აგროტური. სტაჟიორებმა დაათვალიერეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზა და ინვიტრო ლაბორატორია

- სტუმრები ქართული ვაზის კოლექციას გაეცნენ და იშვიათი ქართული ყურძნისგან დაყენებული ღვინოები დააგემოვნეს. კადრების გადამზადების, ცოდნის გაღრმავებისა და დარგში არსებული სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ბაზებით საუკეთესოა, - აღნიშნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბოლქვაძემ.

აგროტურის ფარგლებში, მომავალი აგრონომები წილკნის ერთწლოვანი კულტურების საცდელ ბაზასაც ესტუმრნენ, მცენარეთა მიკროკლონური (IN VITRO) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის ლაბორატორიის მუშაობასა და მიმდინარე კვლევებს გაეცნენ.

ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე არსებულ საკოლექციო ნარგაობაში დაცულია ვაზის ქართული 470-მდე და 350 უცხოური ჯიში, ველური ვაზის 120-ზე მეტი ფორმა, თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების 42 ადგილობრივი და 270-ზე მეტი ინტროდუცირებული ჯიში. ახალგაზრდა კადრების დაინტერესების, მოზიდვის, მომზადებისა და აგრარულ სფეროში მათი ჩართვის მიზნით, ცენტრის ბაზებზე რეგულარულად მიმდინარეობს სპეციალისტებთან შეხვედრები და ტრენინგები.

სტაჟიორები ასევე გაეცნენ, სამეგრელოს რეგიონში შპს „აგრიჯორჯია ფერეროს" თხილის ქარხნის მუშაობას, არსებულ ტექნოლოგიებს. საველე პირობებში მოისმინეს ინფორმაცია თხილის კულტურის მოვლა-მოყვანის თანამე-

დროვე ტექნოლოგიების შესახებ, იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში არსებულ შპს „ნადი გრუპის" ლოკოკინების ფერმაში.

აგროტურები ხორციელდება სტაჟიორებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა-გაზიარების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

აგროტურთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ აგრარული განვითარების დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსს ჯიმშერ დიასამიძეს.

- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური მიმართულების 20 სტაჟიორი სტაჟირებას გადის სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში. აგროტურის ფარგლებში სტაჟიორებს მიეცათ შესაძლებლობა ჯიღაურას ბაზაზე გაცნობოდნენ ვაზის უნიკალურ, როგორც ადგილობრივ, ისე ინტროდუცირებულ კოლექციებს. ასევე წილკნის ლაბორატორიაში გაეცნენ მცენარეთა მიკროკლონური გამრავლების წესებს. ზოგადად, აგროტურები ხორციელდება სტაჟიორების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მეორე აგროტური განხორციელდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში, ზუგდიდში, შპს „აგრიჯორჯია ფერეროს" თხილის ქარხანასა და იქ არსებულ თხილის პლანტაციებში. ახალი ხიბულას ლოკოკინების ფერმაში, რომელიც 6 ჰექტარზეა განთავსებული, ინკუბატორის დათვალიერების საშუალებაც მოგვეცა.

ხელვაჩაურის საკრებულოში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

გაიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, სადაც დასამტკიცებლად ორი საკითხი იყო წარდგენილი.

საკრებულომ ამხანაგობისა და ბინათმესაკუთრეობის განვითარების ხელშესაწყობად თანხების განკარგვის ახალი წესი დაამტკიცა, ასევე, სხდომაზე შპს „ვი-ჯი-ეს აჭარას" თანხმობა მიეცა, სოფელ თხილნარსა და მახოში გარე განათების ბოძები ინტერნეტიზაციის მიზნით გამოიყენოს.

- სხდომაზე განვიხილეთ ორი საკითხი, თუმცა გამოვყოფ ერთ-ერთ მათგანს. ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნეტიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რადგან დიდი ნაწილი ითხოვდა ინტერნეტს, ახლა კი ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ პრობლემის მოგვარება, - განაცხადა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძემ.

გამარჯვებული სტუდენტები

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აკადემიკოს „ვახტანგ შამილაძის სახელობის სტიპენდიით" მოსარგებლე სტუდენტების განცხადებები განიხილეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომაზე.

კომისიამ, ჯამში, 31 განცხადება განიხილა და გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, 29 სტუდენტი დაკმაყოფილდა. პროგრამაში მონაწილე სტუდენტები დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით მიიღებენ.

დაფინანსება 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შეფასების შესაბამისად გაიცემა. პროგრამის ფარგლებში, შშმ პირ სტუდენტს დაუფინანსდება ტრანსპორტირების თანხა.

დადიანების სასახლეში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები ექსკურსიით ზუგდიდში იმყოფებოდნენ. მათ დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში საგამოფენო სივრცეები მოინახულეს. გაეცნენ დადიანების სასახლის ისტორიასა და საერთაშორისო კავშირებს, დაათვალიერეს მუზეუმში დაცული მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატები, მათი მნიშვნელობისა და წარმოშობის შესახებ ინფორმაცია მოწვეული გიდისგან მოისმინეს.



ექსკურსიაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სულ 35 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

საქართველოში საკუთარი ქვეყნიდან გამოქცეული რუსი მოქალაქეების შემოდინება ყოველდღიურად იზრდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბოლო დღეებში რუსეთის ათასობით მოქალაქე ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში კვეთს რუსეთ-საქართველოს საზღვარს, რაც საქართველოს მოქალაქეებში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. ინფორმაციას იმაზე, რომ რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ყოველდღიურად 10-11 ათასამდე ადამიანი შემოდის, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ

მიაჩნიათ თუ არა საფრთხის შემცველად რუსეთის მოქალაქეების ამ რაოდენობით შემოდინება ჩვენს ქვეყანაში? ამ კითხვას აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა უპასუხეს:

ელგუჯა ბაბრატიონი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

- რაც ხდება ლარსის საბაჟოზე, რა თქმა უნდა, ეს საქართველოსთვის საფრთხის შემცველია. ასე უკონტროლოდ ადამიანების შემოდინება პუტინის ქვეყნიდან, საშიში და საფრთხილოა. თუმცა ხელისუფლება არაფერს აკეთებს და არც არავის აქვს მოლოდინი, რომ რამეს გააკეთებს. რეალურად ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელმაც მხარი არც დაუჭირა უკრაინას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დამპყრობელმა ქვეყანამ ფესვები გაიდგას ჩვენს ქვეყანაში. ტურისტი უნდა შემოდიოდეს, ამაში არანაირი პრობლემა არ არის, პირიქით, მაგრამ როცა ეს ხდება უკონტროლოდ, როცა მათ აძლევენ დროებითი ცხოვრების საშუალებას, ორმაგ მოქალაქეობას, რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა მუშაობდეს დაზვერვის სამსახური. გვახსოვს, როგორ არ შემოუშვეს ქვეყანაში ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები, მათ შორის ჟურნალისტები, თუმცა დანარჩენი ადამიანები დაუბრკოლებლად შემოდიან ქვეყანაში და არავინ აკონტროლებს, რომ დროებით შემოვიდნენ და მერე დატოვონ ქვეყანა. რუსეთი უკვე დაშლის პირასაა, პუტინი ომს აგებს და ეს დამპყრობელი, მოძალადე ხელისუფლება, რა თქმა უნდა, დასრულდება რუსეთში. ამას შეიძლება რამდენიმე თვე დასჭირდეს, თუმცა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ ნახა, რომ რუსეთი არის აგრესორი, დამპყრობელი და სანამ ეს მოძალადე ხელისუფლება არ დასრულდება, შეუძლებელია ახლო ქვეყნებში მშვიდობამ დაისადგუროს. ვხედავთ პუტინის აგონიას, ხალხიც გამოურბის და ეს მისი დასასრულია.

ცოტნე ანანიძე - „ქართული ოცნება“:

- ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სახელმწიფო არის ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის განმახორციელებელი. რუსეთის სახელმწიფოს და რუსეთის მოქალაქეს აქვს პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ დიქტატორულ ქვეყანაზე. პირველ რიგში, ჩემი ამოსავალი წერტილი არის ადამიანის უფლებები და ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან მწირად ვრცელდება მასალები, რაც რუსეთში პროტესტს უკავშირდება, მათ შორის ქალბატონებს და ხანშიშესულ მოხუცებს როგორ აკავებს სპეცდანიშნულების რაზმი. რუსეთის ძალიან ბევრ მოქალაქეს, ცხადია, არ უნდა ომი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის, რუსეთის ხელისუფლებას წინააღმდეგობა შიშველი ხელებით გაუწიო, ეს თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უკრაინას, მაინც უდიდესი ადამიანური და ინფრასტრუქტურული დანაკარგი აქვს ქვეყანას. ჩვენც რამდენიმე წლის წინ ვიყავით საბჭოთა კავშირი, ძალიან ბევრ მოქალაქეს არ მოსწონდა, რამდენს წასვლა, საზღვრის გადაკვეთა უნდოდა, მაგრამ ამას საბჭოთა კავშირში უმკაცრესი კანონმდებლობა კრძალავდა. ამ საკითხზე ყველას „ჯინსების თაობა“ გვახსენდება. ჩვენ ვართ ტურისტული ქვეყანა, შესაძლებელია, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე შემოვიდეს, მაგრამ შესაბამისი უწყებები უნდა ატარებდნენ სათანადო ღონისძიებებს. არაერთი ტურისტი შემოვიდა წელს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ფაქტი - ჩვენი სახელმწიფო ინტერესები დაერღვიოს, არ გვინახავს. აქვე მინდა ერთ მნიშვნელოვან ფაქტს გავუსვა ხაზი, რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე ეროვნებით ქართველია, მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს 90-იანი წლებიდან და მანამდეც რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქში, ძალიან ბევრმა, ვიცი, რომ გამოაღწია რუსეთიდან. სწორედ იქ არსებული მდგომარეობის გამო ჩამოვიდნენ საქართველოში და ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანის მისამართით გამოვთქვამ მადლიერებას, რომელიც, მათ შორის რუსეთში, აპროტესტებს პუტინის რეჟიმს, პუტინის ოკუპაციას საქართველოში, ყირიმში, უკრაინაში.

დავით გაბაიძე - აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე:

- გულწრფელად ვამბობ, მე, როგორც პიროვნებას ან პოლიტიკოსს, შესაძლებელია, მქონდეს ჩემი პოზიცია, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები არის ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის გადასაწყვეტი და ვფიქრობ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე უსაფრთხოების სამსახური საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმოქმედებს. შესაბამისად, ვიზიტიორების მიმართ იმ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის უსაფრთხოებიდან. ფაქტია, რომ ეს ხალხი რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ითვლება დეზერტირებად. აქედან გამომდინარე, მათი იქ ყოფნა ჯობია თუ იმ ქვეყნის გარეთ, ამაზე პასუხი, ვფიქრობ, მარტივია.

უკრაინა

საქართველო გმობს უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის მიერ დადგმულ უკანონო რეფერენდუმებს. უკრაინის ტერიტორიების ანექსიის ეს მცდელობები მიუღებელია, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული. საგარეო უწყება ხაზს უსვამს, რომ „საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ ფრონტზე არსებული ვითარების შესახებ კარგი დეტალები გახდება ცნობილი. „მოკლედ ვიტყვი და ჯერჯერობით დეტალების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ კარგი დეტალები იქნება. წინ მივდივართ და ვათავისუფლებთ ჩვენს მიწას“, - აღნიშნა ზელენსკიმ. შეგახსენებთ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა 6 სექტემბერს ხარკოვის ოლქის ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმატებული კონტრშეტევა დაიწყეს. 14 სექტემბერს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა განაცხადა, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხარკოვის ოლქში უკვე დაახლოებით 8 500 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია გაათავისუფლეს.

* * *

საოკუპაციო ხელისუფლება უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული ე.წ. „რეფერენდუმების“ შედეგებს აქვეყნებს. მათი ცნობით, ხმების ასი პროცენტის დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ რუსეთთან შეერთებას დონეცკის ოლქში „ამომრჩევლების“ 99.23%-მა დაუჭირა მხარი, ლუგანსკში - 98.42%-მა, ზაპოროჟიეში - 93.11%-მა, ხერსონში კი - 87.05%-მა. საოკუპაციო რეჟიმის მტკიცებით, „რეფერენდუმის“ დროს უხეში დარღვევები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა. შეგახსენებთ, უკრაინის ოთხ ოლქში - დონეცკში, ლუგანსკში, ზაპოროჟიესა და ხერსონში რუსეთთან შეერთების საკითხზე ე.წ. „რეფერენდუმები“ 23-27 სექტემბერს ჩატარდა.

* * *

შეერთებული შტატები უკრაინისთვის ახალ, 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იარაღების პაკეტს ამზადებს, - ინფორმაციას Reuters-ი აშშ-ის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, პაკეტი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. დახმარება მოიცავს HIMARS-ის სარაკეტო სისტემებს, თანმხლებ საბრძოლო მასალას, დრონების საწინააღმდეგო და სარადარო სისტემებს, სათადარიგო ნაწილებს, ტრენინგსა და ტექნიკურ მხარდაჭერას. შეერთებულმა შტატებმა უკრაინას რუსეთთან კონფლიქტის ფონზე 15 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების სამხედრო დახმარება გაუწია.

* * *

ოკუპანტების ქვედანაყოფებს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები უერთდებიან, - ამის შესახებ უკრაინის შეიარღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. „რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა დაიწყეს ნაწილობრივი მობილიზაციისთვის გამოძახებული პერსონალის მიღება. ამგვარად, საბრძოლო ზონაში განლაგებული პირველი სატანკო არმიის მე-2 მოტომსროლელი დივიზიის პირველი სატანკო პოლკის ნაწილები გაძლიერდა. მათ წვრთნა არ ჩატარებიათ. ასევე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ნაწილობრივ მობილიზაციასთან ერთად ეგრეთ წოდებული „თვითმობილიზაციის“ ზომების გატარებასაც აგრძელებს“, - აცხადებენ უწყებაში.

* * *

ე.წ. „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი“ ლეონიდ პასეჩნიკი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მიმართავს, ე.წ. რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციასთან შეერთება განიხილოს. „ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, გწერთ ლუგანსკის ოლქის ხალხის სახელით! რეფერენდუმზე რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, გთხოვთ, განიხილოთ ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტის, შესვლის საკითხი“, - აღნიშნულია პასეჩნიკის მიმართვაში. მანამდე, ლუგანსკის ოლქის, ე.წ. „ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ“ განაცხადა, რომ „ხმების“ 100%-ით დათვლის შედეგების თანახმად, „რესპუბლიკის“ მოსახლეობის 98.42%-მა ხმა რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანების სასარგებლოდ მისცა. მანამდე, ვლადიმერ პუტინს მსგავსი თხოვნით ხერსონის ოლქის მოსკოვის მიერ დანიშნულმა ლიდერმა, ვლადიმირ სალდომ მიმართა. „ტელეგრამში“ გამოქვეყნებულ წერილში სალდო აცხადებს, რომ ხერსონის მცხოვრებლებმა გააკეთეს „ისტორიული არჩევანი“ რუსეთის სასარგებლოდ.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, მოსკოვი გეგმავს უკრაინის ოთხი ოკუპირებული ოლქის ანექსიას და ის აიძულებს ადამიანებს შეუერთდნენ რუსეთის ჯარს. „ანექსიის მიზანი აშკარაა - ოკუპანტს სურს ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებლები არმიას შეუერთოს“, - განაცხადა ზელენსკიმ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ვიდეომიმართვისას. „ან მოგკლავენ ან უნდა მოკლა - რუსეთს სურს აიძულოს ოკუპირებულ მიწებზე მცხოვრები ასობით ათასი უკრაინელი ასეთი არჩევანი გააკეთოს“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მანვე, სამშაბათს, გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიის ანექსიის ნებისმიერი მცდელობა ნიშნავს, რომ „რუსეთის ამ პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერია“.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ ნატოს მოკავშირეების პოზიცია ურყევია უკრაინის მიმართ, რუსეთის მიერ ჩატარებულ ყალბ რეფერენდუმებს კი არ გააჩნიათ ლეგიტიმაცია, - ამის შესახებ სტოლტენბერგმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე დაწერა. „ნატოს მოკავშირეების პოზიცია ურყევია უკრაინის სუვერენიტეტის მხარდაჭერის და საკუთარი თავდაცვის საკითხებში. ყალბი რეფერენდუმები, რომლებსაც რუსეთი ატარებს, არ გააჩნიათ ლეგიტიმურობა და წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევას. ეს მიწები უკრაინას ეკუთვნის“, - წერს სტოლტენბერგი.

* * *

ევროკავშირი ღრმად შეშფოთებულია „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილსადენების დაზიანების გამო, რამაც ბალტიის ზღვის საერთაშორისო წყლებში გაზის გაჟონვა გამოიწვია, - აცხადებს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჯოზეფ ბორელი. მისი თქმით, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა უმთავრესი პრიორიტეტია. „ეს ინციდენტები დამთხვევა არ არის და ყველას გვაზარალებს. ყველა არსებული ინფორმაცია მიანიშნებს, რომ აღნიშნული გაჟონვა არის მიზანმიმართული ქმედების შედეგი“, - აცხადებს ბორელი.

* * *

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, ევროკავშირის ტერიტორიაზე, გასული კვირის განმავლობაში, რუსეთის 66 000 მოქალაქე შევიდა, რაც წინა კვირასთან შედარებით 30%-ით მეტია. უწყებაში აცხადებენ, რომ საზღვრის კვეთის შემთხვევების უმეტესობა ფინეთისა და ესტონეთის მონაკვეთებზე მოდიოდა. ამასთან, უმეტესობას ჰქონდა ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან ორმაგი მოქალაქეობა. ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, საზღვრის უკანონო გადაკვეთა შეიძლება გაიზარდოს, თუ კრემლი პოტენციური ახალწვეულებისთვის რუსეთის საზღვრების ჩაკეტვას გადაწყვეტს.

* * *

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დიდი ალბათობით რამდენიმე დღეში რუსეთის პრეზიდენტი უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების ფორმალურ ანექსიას გამოაცხადებს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ე.წ. რეფერენდუმების ბოლო დღეს, 27 სექტემბერს განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხალხის გადარჩენა სურს. „ხალხის გადარჩენა ყველა ტერიტორიაზე, სადაც ეს რეფერენდუმი ტარდება წინა პლანზეა და მთელი ჩვენი საზოგადოების, ქვეყნის ყურადღების ცენტრშია“, - განაცხადა პუტინმა.

* * *

იტალიის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე კოალიციამ ორივე პალატაში ხმების დაახლოებით 44%-ით გაიმარჯვა. არჩევნების შედეგების მიხედვით, იტალიის პრემიერ-მინისტრი ყველაზე დიდი პარტიის „იტალიის ძმების“ ლიდერი ჯორჯა მელონი გახდება - პირველი ქალი, რომელიც იტალიის მინისტრთა საბჭოს უხელმძღვანელებს. თავად ხელისუფლება კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მემარჯვენე იქნება. მემარცხენე-ცენტრისტულმა კოალიციამ დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ხმების დაახლოებით 26% მოიპოვა.

მოამზადა
ია შველიძემ

სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კანონს შორის?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

თანამედროვე სამყაროში სიტყვის თავისუფლება კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა, თუმცა ხშირად ვაწყდებით შემთხვევას, როცა დაუსაბუთებლად, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ვდებთ ამა თუ იმ პირს ბრალს, მედიასაშუალებებში და ინტერნეტსივრცეში კი ეს სწრაფად ვრცელდება

ბოლო პერიოდში არაერთი განცხადება კეთდება ყალბ ინფორმაციასა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის მოტივით ცილისწამების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების აუცილებლობაზე, რასაც შესაძლოა, გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტისა და ოპონენტების კრიტიკული აზრის შეზღუდვა მოჰყვეს. არადა, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ზღვარი აქაც არსებობს. მედიასაშუალებები ვცდილობთ არ ვიყოთ მიკერძოებულები. დავფიქსიროთ არა ჩვენი, არამედ ორივე ოპონენტის შეხედულება თუ აზრი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, უფრო სატელევიზიო სივრცეში, ეს დარღვეულია. სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კანონს შორის? ამ კითხვით ადვოკატ ***ლელი ბჟალავას*** *მივმართეთ.*

- მასმედია წლებია, საზოგადოების სამსახურშია და შუქდება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა, პოლიტიკური თუ სხვა საინტერესო თემები, რაც საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ გავლენას ახდენს, ყველა ინფორმაციის გავრცელება ხდება წყაროს საშუალებით, ჟურნალისტს სიუჟეტის მოსამზადებლად სჭირდება მტკიცებულებები, იგი ვალდებულია, გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს ფაქტები. თუმცა, იგივე მოთხოვნა არ ვრცელდება ჟურნალისტების მიერ მოსაზრების გაშუქებისას ან თვალსაზრისის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას. საქართველოს კანონი არეგულირებს მაუწყებლობას, მიუხედავად ამისა, მასმედიის მხრიდანაც ხდება კანონდარღვევები. ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც ვაწყდებით ფოტოების გამოქვეყნებას კომენტარების თანხლებით, რომლებიც ექსკლუზიურად უკავშირდება პირად ცხოვრებას, პირის თანხმობის გარეშე. ეს, სავარაუდოდ, დაარღვევს იმ პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ვისზეც იქნება ეს ფოტო ან პირადი ინფორმაცია. ასევე, ხშირად ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, რასაც საქართველოში კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ან არ არსებობს კანონი და უკონტროლოა. ცრუ ინფორმაციის გავრცელებისას მედიასაშუალებებს მაუწყებლიდან მისი მოხსნა უნდა დაავალოს სასამართლომ, თუმცა, იმისათვის, რომ ინფორმაცია ყალბად მიიჩნიონ, სასამართლომ უნდა განიხილოს მსგავსი საქმეები. არხები, რომლებიც მაუწყებლობენ და ჰყავთ ბევრი მაყურებელი, პასუხისმგებლიან არხებად მიიჩნევიან, ჟურნალისტები სარგებლობენ სიტყვის გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალი დონით, თუმცა ეროვნული ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, გაშუქების რა მეთოდებს გამოიყენებს ჟურნალისტი, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში ბევრმა ტელევიზიამ განიცადა რეპრესიები. ერთ-ერთ საქმეს გავიხსენებ: მქონდა სამეზობლო დავა - მევახშეობას ეხებოდა. ერთმა ქალბატონმა მეზობლების ქონება მოტყუებით, იპოეკით დატვირთა, აიღო თანხა და მიიმალა. გაკეთდა სიუჟეტი, რომელშიც ყველა დაზარალებული ამბობდა, რომ თაღლითმა ქალბატონმა მოატყუა ისინი და ქონება დაკარგეს, სიუჟეტი ტელევიზიით გავიდა. იმ ქალბატონმა საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, თავს თვლიდა დაზარალებულად იმის გამო, რომ ცრუ ინფორმაცია გაუვრცელეს და ამის გამო ჯანმრთელობა შეერყა, თუმცა აღნიშნული დავა ვერ მოიგო და სასამართლომ სარჩელი არ დაუკმაყოფილა. მოსამართლემ დაადგინა, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი აზრი მედიასაშუალებებით. სასამართლომ გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება, რომ ადამიანებს აქვთ უფლება, მედიასაშუალებებით თავიანთ პრობლემებზე ისაუბრონ და მიიტანონ ადრესატამდე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის მრავალწლიან პრაქტიკაში არაერთხელ მოუწია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მსჯელობა. გამოხატვის თავისუფლებას უპირისპირდება ადამიანის პატივის და ღირსების უფლება, მედია უნდა იყოს თავისუფალი და საინტერესო. ამ საკითხზე მსჯელობა უნდა დაიწყოს ჩვენს ქვეყანაში, ასევე, კანონის დახვეწაც, თუმცა არ უნდა დაირღვეს სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტი, - გვითხრა ლელი ბჟალავამ.

აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება ჩვენი კანონმდებლობით ფართოდ არის დაცული. ცილისწამების დეკრიმინალიზება საქართველოში 2004 წელს მოხდა, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით უდიდეს მიღწევად ითვლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შესაბამისად, დეკლარირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა. ამავე მუხლის თანახმად: „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო“. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ცილისწამების თაობაზე და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო სამოქალაქო წესით იდავოს. მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. იმავე კანონით გათვალისწინებულია გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი გარანტია, კერძოდ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

გამოხატვის თავისუფლებისა და ცილისწამების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილი სამართლებრივი გარანტიები მნიშვნელოვანწილად ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობასა და სამართალწარმოების გამოცდილებას ემყარება. მართალია, ევროპის ქვეყნების გამოცდილება თვისობრივად განსხვავებულ სტანდარტებს ადგენს, თუმცა ქართულ რეალობასა და კონტექსტს სწორედ რომ ამერიკული მოდელი მიესადაგება, რაც პრაქტიკაში არაერთგზის დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ კრიტიკული გამოხატვის თავისუფლების დაცვა გამყარებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი რიგი პროგრესული პრეცედენტებითაც. და მაინც, სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კანონს შორის? ვფიქრობთ, იქ, სადაც ირღვევა სხვისი კანონიერი უფლება.

ფერმერი

საქმიანობა, რომელიც დიდ დაკვირვებას, მოთმინებას და შრომას მოითხოვს

დარინა ბაბაიძე 27 48 93

დღეს გვსურს გაგაცნოთ წარმატებული ახალგაზრდა ფერმერი ***ნადიმ მელაძე,*** *რომლის სასათბურე მეურნეობა, სადაც 2017 წლიდან სალათის კულტურა მოჰყავს, წლითიწლობით იზრდება როგორც რაოდენობრივად, ისე - ფართობითაც.*

- როგორც გავიგე, საინტერესოდ მოხვედით ფერმერობამდე, შეგიძლიათ ეს ისტორია მოგვიყვეთ?

- თავდაპირველად ფიტნესტრენერად ვმუშაობდი, მაგრამ ყოველთვის მქონდა ჯანსაღი პროდუქტის წარმოების სურვილი. გვაქვს საოჯახო საბითუმო ხილ-ბოსტნეულის ბიზნესი, რამაც დამაფიქრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, არა სხვისგან შემეძინა პროდუქცია, არამედ თვითონ მეწარმოებინა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში დავიბადე. სწორედ იქ, ბაბუის დანატოვარ მიწის პატარა ნაკვეთზე დავიწყე ჩემი ბიზნესიდეის განხორციელება.

- რა უპირატესობა აქვს სალათს სხვა ბოსტნეულ კულტურებთან შედარებით?

- სალათის ფოთოლზე დიდი მოთხოვნა განპირობებულია მისი მაღალი კვებითი ღირებულებით. იგი შეიცავს ვიტამინებს A, B1, B2, C, PP, K, კალიუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის მინერალურ მარილებს, ვაშლის, ქარვის, მჟაუნის, ლიმონის ორგანულ მჟავებს და ადამიანისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მისი კვებითი ღირებულება განსაკუთრებით მაღალია ნედლად გამოყენებისას. სალათა დიეტური საკვებია, ამცირებს სისხლის წნევას, აუმჯობესებს ძილს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ასტიმულირებს ნაწლავების მოქმედებას. გარდა ამისა, სალათის ფურცელთან ადვილად ხდება სხვა ჯანსაღი საკვები პროდუქტების კომბინირება, რაც ძალიან კომფორტულია, როცა სწორი კვებისა და ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი ხარ.

- „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“?

- რა თქმა უნდა. გამოთქმა - „ჩვენ ის ვართ, რასაც მივირთმევთ“, ნამდვილად შეესაბამება ჩემს პირად დაკვირვებას.

- რატომ აირჩიეთ კონკრეტულად სალათის კულტურა?

- ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ყველაზე მოთხოვნადი ის იყო, თანაც დეფიციტური - მომხმარებელს საკმაოდ უძნელდებოდა ხარისხიანი პროდუქციის შეძენა.

- პირველი სათბურიდან - დღემდე...

- 2017 წელს ავაგეთ პირველი სათბური - 250 კვადრატული მეტრი ფართობისა. დღეისთვის უკვე 13 სათბური გვაქვს, 600-600 კვადრატული მეტრისა.

- რამდენი ადამიანი გყავთ თქვენს მეურნეობაში და რა პრინციპით ასაქმებთ ადგილობრივ მოსახლეობას?

- დღეისათვის 18 ადამიანია დასაქმებული. თითო ოჯახიდან 2 ადამიანი ამყავს, რათა მოხდეს მაქსიმალური რაოდენობის ოჯახის ჩართვა და ყველა მათგანს ჰქონდეს შემოსავლის წყარო.

- რამდენად რთული იყო ადგილობრივი ბაზრის ათვისება?

- რადგან ადგილობრივი ბაზარი ხარისხიანი პროდუქციის ნაკლებობას განიცდიდა, ადვილად შევძელი ჩვენი პროდუქციით მისი ათვისება. ამჟამად 30 სარესტორნო ქსელს ვამარაგებ სალათის ფოთლითა და ბოსტნეულით.

- ამ კულტურის მოყვანას, დაკრეფას თუ ტრანსპორტირებას განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება. როგორ შეიძინეთ ის?

- თავდაპირველად - ინტერნეტის საშუალებით. გარდა ამისა, დავდიოდი კომპანია „კარტლისის“ სამეურნეო ტრენინგებზე, სადაც ძირეულად ავითვისე როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. მის გაღრმავებასა და ბიზნესის წარმატებაში ძალიან დამეხმარა აგრონომი ლაშა მელაძე, შემდეგ კი პირადი გამოცდილებით მივაღწიე იმ ხარისხს, რაც ამჟამად მაქვს.

- სასათბურე მეურნეობის განვითარების მიმართულებით სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამა, თუ გისარგებლიათ რომელიმე მათგანით?

- არა, ყველაფერი ჩვენი კომპანიის - შპს „მელას“ სახსრებით გავაკეთეთ.

- სალათის ფურცლები მიჩნეულია სეზონურ კულტურად - მასზე მოთხოვნა განსაკუთრებით ზაფხულობით იზრდება...

- ხარისხიან პროდუქტზე ზაფხულსა და ზამთარშიცაა მოთხოვნა, თუმცა, რა თქმა უნდა, ზაფხულში მაინც მეტია.

- რამდენი ჩითილი გამოგყავთ და რა პერიოდია საჭირო ამისთვის?

- თვეში დაახლოებით 60 ათასი ნერგი გამოგვყავს. ჩითილის გადარგვამდე 25 დღეა საჭირო.

- სალათის კულტურის რომელ ჯიშებს აწარმოებთ?

- პატავეას ჯიშის, კონკრეტულად - ვილი, ესტონი და ილემა.

- ღია გრუნტზე თუ გიცდიათ სალათის კულტურის მოყვანა და თუ - კი, რამდენად გაამართლა შედეგმა?

- დიახ, ზაფხულობით 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მოგვყავს სალათის ფოთოლი და საკმაოდ კარგი შედეგიც გვაქვს.

- ადგილობრივ ბაზარზე სხვა ბოსტნეულ კულტურებზე თუ გაქვთ მოთხოვნა?

- დიახ, ჩამოგვაქვს საქართველოს ყველა კუთხიდან ბოსტნეული კულტურები და ვახდენთ უკვე ადგილობრივ ბაზარზე მათ რეალიზებას.

- რას გვეტყვით თქვენს გეგმებზე?

- გარდა იმისა, რომ სასალათე მეურნეობა კიდევ უფრო უნდა დავხვეწო და გავაფართოო, უნდა დავიწყო სხვა კულტურების მოყვანაც. უკვე 6000 კვადრატულ მეტრზე დავთესეთ კომბოსტო და პირველ მოსავალს ველოდებით.

- სოფლის მეურნეობის წარმოება დიდ შრომას, ნებისყოფასა და ცოდნას მოითხოვს. რას ურჩევდით ამ თვალსაზრისით დამწყებ თუ მოქმედ ფერმერებს?

- პირველ რიგში, აუცილებელია, გიყვარდეთ მიწა და ეს საქმიანობა. ამასთანავე, უნდა განავითაროთ მოთმინების და დაკვირვების უნარი, რადგან ეს საქმიანობა მოითხოვს დიდ და ხანგრძლივ შრომას, დანარჩენი კი ცოდნისა და გამოცდილების საქმეა. მიხარია, რომ ყოველ წელს უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა უბრუნდება სოფელს. ჩვენი საწყისი სწორედ ბუნებაშია და რაც უფრო მოვუვლით მას, მით მეტ სარგებელს მოგვცემს.

თითოეულ ბათუმელს დააკლდება ბერდია ინწკირველი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ნელ-ნელა წავიდა ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა უფროსი თაობა... ბერდია ინწკირველი ამ თაობის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ, ადამიანი, ვისაც სახალხო არტისტის წოდება ოფიციალურად არ ჰქონია, მაგრამ თუ ბათუმში ვინმეზე უნდა თქვან სახალხო, პირველ რიგში - ბერდიაზე

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1963 წელს მოღვაწეობა დაიწყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. მან ამ თეატრში შექმნა არაერთი სცენური სახე, რომელთა შორის აღსანიშნავია: პიპჩა (ჯარისკაცის მამა), დვალი (მოცურავე), მაქსიმა (ღამის ცეკვა), უსანთე (მელია და ყურძენი), ინკვიზიტორი (ტოროლა), დაზმირი (საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში) და სხვა. მდიდარია ბერდიას კინოგმირთა პალიტრა. გადაღებულია ფილმებსა და სერიალებში: „მიზანი“, „ლეონარდო“, „ყველაზე სწრაფი მსოფლიოში“, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“, „ბათა ქექია“, „წინამორბედი“, „მაისის თოვლი“, „იქ ჩემთან“, „ოქროს ობობა“, „ციხესიმაგრე“, „ბოთე“, „საათნოებათა კიბე“, „გაღმა ნაპირი“ და მრავალი სხვა. მისი შემოქმედება დაკავშირებულია ქართული თეატრისა და კინოს არაერთ წარმატებასთან. ბერდია ინწკირველის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ქართული სამსახიობო ხელოვნების ისტორიის ოქროს ფონდის განუყოფელი ნაწილია. მსახიობი კინოსა და თეატრში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არაერთგზის არის დაჯილდოებული თეატრალური და კინოპრემიებით. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

შესანიშნავ მსახიობსა და პიროვნებას საზოგადოება ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამოემშვიდობა. დაკრძალვაზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამობრძანდნენ მისი მეგობრები, ახლობლები, კოლეგები. მათ შორის გახლდათ რეჟისორი და დრამატურგი ოთარ ბაღათურია. თითოეული მათგანი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებდა ადამიანს, ვინაც არა მხოლოდ თავისი შემოქმედებით დატოვა უდიდესი კვალი სამსახიობო კარიერაში, არამედ როგორც დიდმა პიროვნებამ, ჭეშმარიტმა ბათუმელმა - ქალაქის ცხოვრებაში.

ყველა დიდი გულისტკივილით დაემშვიდობა ბერდია ინწკირველს - ქალაქის გამორჩეულ კოლორიტს.

ავთო ჭარჩავა, მსახიობი:

- წავიდა ჩვენი ბერდო, საოცარი პიროვნება, 59 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამ თეატრის სცენაზე და ქმნიდა არაჩვეულებრივ სახეებს. განა მარტო ჩვენი თეატრი

გლოვობს, მწუხარებამ მოიცვა საქართველოს თეატრალური საზოგადოება. თითქმის ყველა თეატრიდან მივიღეთ სამძიმარი, უცხოეთიდანაც კი - რეზო ჩხიკვიშვილი შემოგვეხმიანა. მწუხარებამ მოიცვა ჩვენი კუთხე, თეატრმა, ქართულმა კინომ დაკარგა ძალიან ნიჭიერი, საინტერესო ადამიანი. მან თავისი წასვლით წერტილი დაუსვა უფროსი თაობის მოღვაწეობას თეატრში. მოქმედ თაობას ვგულისხმობ. ჩემთვის მართლა ძალიან რთულია, ვილაპარაკო ადამიანზე, რომელთან ერთადაც 42 წელი ვიდექი ამ სცენაზე და ვუწევდი პარტნიორობას. ბერდო სრულიად განსხვავებული იყო ყველაფრით. ემოცია ყველას გაგვაჩნია, მაგრამ მას ეს განსხვავებული ჰქონდა. ისე ემოციურად ჩაგეხუტებოდა, მოგიკითხავდა, ისე დაგემშვიდობებოდა, გაოცებული გტოვებდა. რა ენერგიას ატარებდა, რა სიყვარული ჰქონდა?! სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ეს კოლორიტი ადამიანი მართლაც, შესამჩნევად დააკლდება ქალაქს...

ვახტანგ ღლონტი, პოეტი:

- ჩვენ, უფროსი თაობა, მიჩვეული ვართ ცოტა სხვაგვარ გაცილებებს... სამწუხაროდ, აღარ არის ის ბათუმი, ის საქართველო... მისი გამცილებლები მან თავად გააცილა. ბერდია იყო მოსიარულე კულტურის ძეგლი, რომელიც თავის ასაკთან შედარებით, ყოველთვის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ბევრი სახე დატოვა არაერთ ფილმში, მაგრამ მთავარი, ეტყობა, ჩვენგან დაფარული იყო. მახსენდება შექსპირის მერკუციო, სიცილ-სიცილით რომ კვდება. ბერდოც თითქოს ასე ანეკდოტურად, მსუბუქად, სიმჩატით შეგხვდებოდა, გამოქანდებოდა, გადაგეხვეოდა, რაღაცას გეტყოდა და.. თითქოს დღემდე წაგვართვა იმის საშუალება, რომ მწუხარე, ცრემლიანი იყო მის გაცილებაზე... იმიტომ, რომ თვითონ იყო ასეთი. მან ის ნიღაბი, ის სახე დატოვა ჩვენთან, რომლითაც თითქოს გაგვიადვილა მასთან განშორება. ძალიან ცოცხალი იყო. მეგონა, რომ სულ თუ არა, ძალიან დიდხანს მაინც იქნებოდა. დაგვრჩა მისი შემოქმედება. ერთ რამესაც ვიტყვი, ძალიან გულისტკივილით, ბერდოს რომ თბილისში ეცხოვრა, რა დასამალია, მაშინ სულ სხვა ბერდია ინწკირველი ეყოლებოდა საქართველოს - უფრო დატვირთული, დახუნძლული როლებით. მისი ერთი მოძრაობა სცენაზე... და მაშინვე იგრძნობდი, როგორი მსახიობი იყო. ის რომ დაიბადა, უკვე მსხიობი იყო. ფაქტურაზე ვამბობ - გარეგნულადაც. თეატრისთვის, კინოსთვის იყო დაბადებული. რა უნდა თქვა... სიკვდილმა თქვა ჩვენი სათქმელი. ჩვენ შეიძლება ვთქვათ, მაგრამ ეს იქნება მიახლოებით თქმული, ბოლომდე ვერასოდეს ვიტყვით, ვინ და როგორი იყო ბერდო.



აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- ძალიან ძნელია დღეს ამ სცენიდან და საერთოდ, ამ მატერიალური სამყაროდან გააცილო ადამიანი, რომელიც იყო ერთ-ერთი საუკეთესო არტისტი მთლიანად ქართული სამსახიობო შემოქმედების გეოგრაფიაში. ეს არ იყო მარტო ბათუმელი მსახიობი. თამამად შეიძლება თქვა, რომ ის სახალხო არტისტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ წოდებას არ ატარებდა. ის ნამდვილად დააკლდება ქალაქს, დაგვაკლდება თითოეულ ჩვენგანს. გამოივლიდი აბაშიძის ქუჩაზე და დაგხვდებოდა კეთილი იუმორით, ღიმილით სავსე ორი ადამიანი - ნუნუ ხინიკაძე და ბერდია ინწკირველი. ეს იყო ყოველდღიური საოცარი შეხვედრები. ამ ბოლო დროს, ერთი თვის განმავლობაში, მათ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ადრეც, როცა უფრო ჯანიანად იყო, ბათუმის ბულვარში ერთად ვვარჯიშობდით... დიდია დღეს მისი გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილი... მშვიდობით, მეგობარო!

ასლან კაკაბაძე, სახალხო აკადემიის პრეზიდენტი:

- ბერდია სახალხო აკადემიის საპატიო წევრი იყო, ჩვენი დიდი დანაკლისია. როგორი შემოსვლა იცოდა, შეძახილი... მისი მოსვლა ყოველთვის დიდი სიხარული იყო. გამოირჩეოდა არა მხოლოდ როგორც დიდი მსახიობი, არამედ დიდი ადამიანობით, მეგობრული, ამხანაგური ურთიერთობებით, ყველასადმი დიდი სიყვარულით. იყო უბრალო კაცი, რომელიც ალამაზებდა ბათუმს.

ნოდარ იაკობაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე:

- წავიდა ჩვენგან მეგობარი, კოლეგა, რომელთან ერთადაც 50 წელი გავატარე თეატრში. შესანიშნავი ადამიანი იყო. არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს, უამრავი როლი ითამაშა. ბევრ სპექტაკლში ერთად ვთამაშობდით. ბევრ ფილმშია გადაღებული. ღირსეული ადამიანი იყო. გული ძალიან დაგვწყვიტა მისმა წასვლამ. თანავუგრძნობ ყველას, მის ოჯახს, ახლობლებს...

დავით ჯაყელი, მსახიობი:

- ჩვენი გზები თეატრში ჩემი მოსვლისთანავე გადაიკვეთა. ეს იყო 2006 წელი, ბერდიაც და მეც გაგვანაწილეს ერთი და იგივე სპექტაკლში - „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ (რეჟისორი გიორგი თავაძე), ბერდია თამაშობდა ფანტასტიკურად. ახალგაზრდა კაცს (21-22 წლის ვიყავი) უფროს თაობასთან ავტომატურად გერთვება მორიდების გრძნობა, დისტანციის დაჭერა, მაგრამ ბერდიამ ისე გააქრო ეს დისტანცია, ისე დაგვიმეგობრა, თითქოს ჩვენი თანატოლი იყო. ერთი წამითაც არ ვაკონტროლებდი სიტყვებს მასთან ურთიერთობაში და ეს, რა თქმა უნდა, ბერდიას დამსახურება იყო. ის იყო უნიჭიერესი, უკეთილშობილესი ადამიანი. მასთან დაკავშირებით მხოლოდ დადებითი თვისებები მახსენდება... მათ თუ შინაგანად არ ატარებ, შეუძლებელია ყველასთვის ასეთი იყო. როგორც ოჯახის წევრის გარდაცვალება, ისე განვიცადეთ. ის ჩვენი დიდი ოჯახის გამორჩეული წევრი იყო, ვუსამძიმრებ ყველას.

ანზორ კუდბა, მწერალი:

- დღეს ბერდიას ვემშვიდობებით, ჩვენი ქალაქის მშვენება, სიხარული, ცხოვრება იყო ბერდია - დიდი ხელოვანი და დიდი მსახიობი, კიდევ უფრო დიდი ადამიანი იყო. ძალიან დიდი პიროვნება დააკლდა ქალაქს, ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან... მაგრამ ის არ მომკვდარა, მან თითოეული ჩვენგანის გულში დაიდო ბინა. მოწყენილიც რომ იყავი, გადაგეხვეოდა და მისი სიხარული გადაგედებოდა. ბერდია მართლაც განუმეორებელი მეგობარი იყო. ძალიან დაგვაკლდება.

მირანდა ბაღდადიშვილი, აჭარის დამსახურებული არტისტი:

- გულდასაწყვეტია, დასანანია მისი ამქვეყნიდან წასვლა. ბერდია ჩემთვის არა მხოლოდ დიდი არტისტი, შემოქმედი, არამედ ჩვენი ოჯახის ძალიან დიდი მეგობარი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ ბერდიას წასვლით კიდევ ერთხელ განვიცადე მამის დანაკლისი, თითქოს კიდევ ერთხელ მიმატოვა მამამ. მასთან ყოველი შეხვედრა იყო ზეიმი. ჩვენ კოლეგებიც გახლდით, ერთად ვმუშაობდით აჭარის ხალხური შემოქმედების სკოლაში - ბერდია ასწავლიდა გრიმის ხელოვნებას და მისი ყოველი შემოსვლა სასწავლებელში დიდი ზეიმი იყო. რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყო ქალი, ბერდიას ყოველი შეხვედრისას რაღაც სიმაღლეზე აჰყავდა. ისე გაგრძნობინებდა თავს, თითქოს შენ ხარ ერთადერთი და განსაკუთრებული. მის ნიჭიერებაზე აღარაფერს ვიტყვი. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქორეოგრაფებთანაც, მოცეკვავე-მსახიობებთან. აჭარკოოპკავშირის გუნდის (ხელმძღვანელი - თამაზ ჯახუტაშვილი) რეპეტიციაზე მისი შემოსვლა რეპეტიციის ჩაშლას ნიშნავდა, ისეთი იუმორი და ხალისი შემოჰქონდა. ხუმრობდა, თქვენს ასაკში მუცლები დაგეტყოთ, ისეთი ტანი მაქვს, მე უნდა ვიცეკვო მირანდასთანო... ამ ზაფხულში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მემედ აბაშიძის გამზირზე. ერთზე მწყდება გული, სურათი არ გადამიღია მასთან და მის მეუღლესთან, ახლა სამახსოვროდ დამრჩებოდა. მისი ამქვეყნიდან წასვლაც კი სხვაგვარი იყო... ნახა საკუთარი შემოქმედების მცირე ნაწილი, მისი ბოლო ეტაპი და... ყველას ვუსამძიმრებ ამ დიდი მსახიობისა და ბათუმელის გარდაცვალებას... ამ დანაკლისს მისი წასვლის შემდეგ კიდევ უფრო დავინახავთ.

«სამშობლო, გულით სატარებელი»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის «ზე-კართან» მონაწილეთა შორის იყო იტალიაში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა მწერალი რუსკა ჟორჟოლიანი, რომელიც იტალიურ ენაზე წერს და უკვე ორი სქელტანიანი რომანის ავტორია. იგი ჩვენი სტუმარია

- ჩემი ადგილის დედა სვანეთი, კერძოდ მესტიაა. აქედან ჩვენი ოჯახი გალის რაიონში გადავიდა საცხოვრებლად. ბედნიერი ბავშვობა არ მქონია. 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი ოჯახიც დევნილად აქცია. ჩავერთე «დევნილი ბავშვების პროგრამაში». მაშინ 11 წლის ვიყავი. იტალიის რესპუბლიკის ქალაქ პალერმოს (სიცილიის კუნძული) მერია და ჩვენი ასოციაცია ამ პროექტს ახორციელებდნენ. იტალიაში ოჯახმა მიმიღო. ჩვენ შორის ძალიან კარგი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. 2007 წლამდე, დროის გარკვეულ პერიოდს იქ ვატარებდი. 15 წლის წინ თავს ძალა დავატანე და საბოლოოდ იქ დარჩენა გადავწყვიტე. უნივერსიტეტში გამოცდები ჩავაბარე და ჩვეულებრივი წესით ცხოვრება დავიწყე.

- რა სპეციალობა აირჩიეთ?

- ბაკალავრიატი ფილოსოფიის სპეციალობით დავამთავრე. შემდეგ მაგისტრატურაში გავაგრძელე სწავლა. წარჩინებით დავიცავი სადიპლომო ნაშრომი, ისიც ფილოსოფიაში. სხვათა შორის, ჩემი სადიპლომო თემა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური შეხედულება იყო. პირველმა ისიც იტალიურ ენაზე. მისი სათაური ორიგინალურია - «სამი ცოცხალი, სამი მკვდარი». რომანი იტალიის დიდი ისტორიის ერთი ეპიზოდის გაცოცხლებაა. ეს ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული მეორე მსოფლიო ომში (1939-1945 წწ), თუმცა რომანი გასული ომის პერიოდს არ მოიცავს, იგი ომისშემდგომ პერიოდზეცაა.

- რა იცით იტალიის ეროთნულ გმირ ფორე მოსულიშვილზე?

- ამ კითხვას ყოველთვის სხარტად და ამომწურავად ვცემ პასუხს. 141 წელს რომის იმპერიამ დიდი პატივი მიაგო იბერიის მეფე ფარსმანს, როცა დედაქალაქში ცხენზე ამხედრებული მისი ქანდაკება აღიმართა. საუკუნეების შემდეგ, იტალიამ ქართველ კაცს ისევ ძეგლი დაუდგა. ფორე მოსულიშვილი ეროვნულ გმირად აღიარეს და ქვეყნის სახელოვან შვილთა პანთეონში სამუდამო ადგილი მიუჩინეს. ფორე მოსულიშვილზე მაშინდელი კვლევები მეც ჩავატარე. ვიყავი იტალიის ჩრდილო-დასავლეთში, პიემონტში. ეს ტარიტორია სვანეთს, აჭარის მთიანეთს მაგონებს, მთიანი და ტყიანია, ამავე დროს, ეკონომიკურად დაწინაურებული და მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული. რეგიონი სტრატეგიული თვალსაზრისითაც გამორჩეულია. ჩემს რომანში პარტიზანების როლზეც მაქვს საუბარი. სწორედ აქ იტალიელმა პარტიზანებმა მტერს სერიოზული ზიანი მიაყენეს. ნოვარის პროვინციაში იბრძოდა «რედის» მე-2 დივიზიის «რემო სერვადეის» 118-ე გარიბალდული ბრიგადა. იგი ორ ბატალიონს აერთიანებდა. ორივე ბატალიონში იყვნენ ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც 1944 წლის მეორე ნახევარში შეუერთდნენ პარტიზანებს. «პეპინოს» ბატალიონში მათი რაოდენობა 40-ს უახლოვდებოდა. ახლა ვაპირებ ფორე მოსულიშვილზე ცალკე დავწერო.

- იტალიელებს თუ ახსოვთ ფორე მოსულიშვილი?

- იქ, სადაც მან სიცოცხლე დაასრულა, თანაც 16 თანამებრძოლი სიკვდილისგან იხსნა, გაკეთებულია მემორიალური დაფა. ეს ადგილი სოფელ კოლონიის მახლობლადაა. იქაურებმა მიამბეს, რომ 16 კაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ვერც მეთაური და ვერც სხვები სამალავიდან, უფრო სწორად, ქვის ძველი სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ გამხეცებული ნაცისტების შიშით. მაშინ მძიმედ დაჭრილი ქართველი ფორე მოსულიშვილი გამოხოხებულა გასასვლელი კარებისკენ შეძახილით «გაუმარჯოს თავისუფლებას!», «გაუმარჯოს პარტიზანებს!» შეძახილის შემდეგ ტყვია შუბლში დაუხლია. იქაურებს გავუმხილე, რომ ქართველი ვარ და იტალიაზე, ქართველ პარტიზანებზე მასალებს ვაგროვებდი. გულით გაიხარეს, ოჯახში მიმიპატიჟეს. ჩვენ გვაქვს ქართული ასოციაცია «სამშობლო, გულით სატარებელი», რომელსაც ნუნუ მგელაძე ხელმძღვანელობს. იგი ყოველწლიურად ფორეს თავგანწირვის ადგილზე მიდის და ადგილობრივებთან ერთად, ქართველი ვაჟკაცის გმირულ თავდადებას პატივს მიაგებს. აქვე გეტყვით, რომ ფორე მოსულიშვილი დაჯილდოებულია «ოქროს მედლით» მხედრული მამაცობისთვის, რაც იტალიის ეროვნული გმირის ტოლფასია. ახლა, ამ ქვეყანაში არსებული წესით, გენერალიც კი ვალდებულია ფეხზე წამოუდგეს და მიესალმოს ჯარისკაცს, რომელიც ამ მედალს ატარებს. ფორე ამ ჯილდოს მფლობელი ერთ-ერთი უცხოელია.

- არც ისე იოლია გათვითცნობიერდე უცხო ქვეყანაში, შეისწავლო ენა, ჩაერთო შემოქმედებით საქმიანობაში...

- იტალიური სკოლა თბილისში დავამთავრე. დიდი როლი შეასრულა ოჯახმა, სადაც ვცხოვრობდი, შემდეგ საუნივერსიტეტო განათლებამ, ადამიანებთან ურთიერთობებმა. ბუნებრივია, რომ შევისწავლიდი ენას. იტალიური ლამის მეორე მშობლიურ ენად იქცა.

- თუ შეგიძლიათ ქართულ ენაზეც დაწეროთ რომანი?

- იტალიური ენა შევისისხლხორცე, მაგრამ არანაკლებ ვიცი ქართული ენის გრამატიკა. ჩემი ოცნებაა ქართულ ენაზეც დავწერო რომანი. ეს ყველაზე დიდი მიღწევა იქნება. იმედია, უკეთესი თუ არა, ამავე დონის მაინც იქნება, რაც იტალიურ ენაზე დავწერე. ჩემთვის ქართველი მკითხველი ყველაზე ობიექტური შემფასებელი იქნება. არც იმას დაგიმალავთ, რომ საამისოდ გარკვეული გარემო მჭირდება. ვიმედოვნებ, ჩემს ცხოვრებაში რაღაც პერიოდი დადგება და მუზაც წამოვა. შეიძლება ცოტა ხნით ან სულაც, საქართველოში საცხოვრებლად გადმოვიდე, უძღები შვილივით მშობლიურს დავუბრუნდე. წერის პროცესში მრავალი ფაქტორია ჩართული: ადამიანები, რომლებთან ურთიერთობები გაქვს, კულტურული პროცესები, თუნდაც ფსიქოლოგიური ამბები, ის მომენტი, რაც შენს თავს, შენს სოციუმს გადახდება, დაჭერას ითხოვს. აი, ეს ყველაფერი ერთად რომ მოიყრის თავს, ნაწარმოებიც აღარ დააყოვნებს.

- იტალიაში ცხოვრების მეგზური ხომ არ შეგირჩევიათ?

- არა, არ გამოჩენილა, თუ გამოჩნდება და გულმა და გონებამ ინება, ჩემგან თანხმობაც იქნება, ისე, ქართველზე გათხოვება, ქართული ოჯახის შექმნა ჩემი დიდი ოცნებაა და უფალიც ამ ოცნებას ამისრულებს.

- თქვენს შემოქმედებაში როგორ შემოვიდა საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი «ზე-კართან»?

- ორი წლის წინ ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში ჩამოვიდა ვახტანგ ბერიძე მეუღლითურთ. მოწვეული იყო იქ გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც «ქსენიას» სახელწოდებითაა ცნობილი და გამორჩეული ფესტივალია. იქ მეც ვიყავი მიწვეული. გავიცანი «ზე-კართან» ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ამ ღონისძიების მნიშვნელობა ნაწილობრივ ვიცოდი. ბატონმა ვახტანგმა მომიპატიჟა და მითხრა, რომ «ზე-კართან» ფესტივალის კარები ჩემთვის მუდამ ღია იქნებოდა. ზაფხულის მიწურულს მშობლიურ ქვეყანაში ჩამოვედი და ოთხი დღეც ამ მშვენიერ კუთხეში გავატარე.

- წელიწადში რამდენჯერ ჩამოდიხართ მშობლიურ ქვეყანაში?

- სამ-ოთხჯერ. დიდხანს იტალიაში ყოფნა მიძნელდება.

- ქართულ დიასპორასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

- ქართულ დიასპორასთან, ემიგრანტებთან საქმიანი, მეგობრული ურთიერთობები მაქვს. ჩემი წიგნის წარდგენას ძირითადად ქართველები ესწრებიან. იქ სულ სხვა ურთიერთობები ყალიბდება, ყველას გვენატრება მშობლიური ქვეყანა, ნოსტალგია გვეძალება. იტალიაში უკვე რამდენიმე ქართული საზოგადოება მოქმედებს. «სამშობლო, გულით სატარებელი» ვახსენე. კიდევ რამდენიმე ასოციაციაა. მჯერა, უფრო მოვიკიდებთ ფეხს, რადგანაც მრავალი ქართველი ჩამოდის იტალიაში სამუშაოდ.

- სვანეთში დაბადებულს, გალში მცხოვრებს არც მთა გიკვირთ და არც ზღვისპირეთი, თუმცა აჭარის მთიანეთს, მის ღირსშესანიშნაობებს პირველად გაეცანით. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- ესეც ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველოა. მასზე ძვირფასი არც მაქვს და არც მექნება. ყველაფერს ვისრუტავ, ვითვისებ და გონებაში მადლიანად ილექება. აჭარა-შავშეთის, მესხეთის ქედების კალთებზე მოსულმა თოვლმა, წვიმიანმა დღეებმა ჩემს მესტიაში, ჩემს მულახსა და უშგულში დამაბრუნა, ფიქრები იქ დაფრინავდა. უცხოეთში რაც უნდა განცხრომაში იყო, მშობლიური, ისიც შემოქმედი ადამიანისთვის, მაინც ამოსავალი წერტილია. ზოგადად, თავი საკუთარ სახლში მგონია. თუ მომიწვევენ, გაისადაც სიამოვნებით ჩამოვალ. აქაური ბუნება, გულღია მასპინძლობა, ადამიანების კეთილი დამოკიდებულება ცხოვრებაში დაუვიწყარ ეპიზოდებად გამყვება.

- მშობლები არ გიხსენებიათ...

- მამა პენსიონერია, ვერაფრით დავიყოლიეთ უცხოეთში საცხოვრებლად გადმოსვლაზე. დედა ჩამოვიდა, დაც უცხოეთშია, იტალიაშია. იგი მხატვარია. ძმა ლონდონში ცხოვრობს, მუსიკალური კლუბი აქვს გახსნილი.

- და-ძმებს, სამშობლოსგან მოშორებით, რა ურთიერთობები გაქვთ?

- საღვთო, საერო დღესასწაულებზე (ახალი წელი, შობა, აღდგომა) მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებით, ხან - იტალიაში, ხან საქართველოში, ხან - ლონდონში. ერთმანეთით ვცხოვრობთ და განცალკევებულად ყოფნა ვერ წარმოგვიდგენია, სულიერად ერთად ვართ. მამა თბილისში რჩება. ეს ქალაქი ჩემთვისაც უძვირფასესია.

> ***„ორი წლის წინ ქალაქ რეჯო-დი-კალაბრიაში ჩამოვიდა ვახტანგ ბერიძე მეუღლითურთ. მოწვეული იყო იქ გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც «ქსენიას» სახელწოდებითაა ცნობილი და გამორჩეული ფესტივალია. იქ მეც ვიყავი მიწვეული. გავიცანი «ზე-კართან» ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ამ ღონისძიების მნიშვნელობა ნაწილობრივ ვიცოდი. ბატონმა ვახტანგმა მომიპატიჟა და მითხრა, რომ «ზე-კართან» ფესტივალის კარები ჩემთვის მუდამ ღია იქნებოდა.***

ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სკვერი – ტომაშეთში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რამდენიმე კვირის წინ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სოფელ ტომაშეთის ტერიტორიაზე, ლებისაკარას უბანში არსებული სკვერისთვის პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღეს

რიგი სამუშაოები უკვე შესრულდა. სკვერის გახსნა საზეიმოდ აღინიშნა. საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ღონისძიებას შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძე, ტარიელ ფუტკარაძის მეგობარი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი როსტომ ჩხეიძე ესწრებოდნენ.



ომარ ტაკიძემ და ტარიელის ძმამ ავთანდილ ფუტკარაძემ ხსოვნის წყაროს საბურველი ჩამოხსნეს.

ტარიელის საზოგადოებრივი, სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ისაუბრეს ომარ ტაკიძემ, ტომაშეთისა და შუბნის საჯარო სკოლების დირექტორებმა გურამ ფუტკარაძემ, ემზარ ჯუმუშაძემ, ავთანდილ ფუტკარაძემ, ვეტერანმა პედაგოგმა იოსებ აბაშიძემ.

- ბატონი ტარიელი ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელოვანი შვილი, მრავალი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი იყო. იგი გახლდათ ეროვნული ღირებულებების, ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების დიდი ქომაგი. იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. მან 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. დიდი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაში, მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტში, სახალხო დღესასწაულებსა და ფესტივალებში. მისი ინიციატივით დაარსდა დღესასწაული „კუნტიჯვრობა“. გარდაცვალების შემდეგ, შუბნის საჯარო სკოლას მიენიჭა ტარიელ ფუტკარაძის სახელი. წარჩინებული სტუდენტებისთვის დავწესეთ „ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია“, ატარებდა „საპატიო შუახეველისა“ და „საპატიო მარეთელის“ წოდებებს. მისი სახელი მიენიჭა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. შუახეველთაგან ტარიელ ფუტკარაძეს პირველს ერგო პატივი, სამუდამო სასუფეველი მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაემკვიდრებინა,- გვითხრა ომარ ტაკიძემ.

„ყირიმული სანქციების“ არეალი ფართოვდება



ევროკავშირის „ყირიმული სანქციები“ უკრაინის ყველა ოკუპირებულ რეგიონზე გავრცელდება, - განაცხადა ევროკავშირის საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა ბრიფინგზე.

„ჩვენ ვაფართოვებთ ყირიმთან დაკავშირებული შეზღუდვების გეოგრაფიულ ფარგლებს, რომლებიც ამ წლის დასაწყისში იქნა მიღებული, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებზე. ისინი დაფარავენ უკრაინის ყველა რეგიონს, რომლებსაც მთავრობა ვერ აკონტროლებს, მათ შორის ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებს, რომლებიც არ მიეკუთვნება დონბასს და რომლებიც არ ყოფილა გადაწყვეტილებების ნაწილი“, - თქვა მან.

ბორელმა ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირი გააფართოვებს სასანქციო სიებს და პერსონალურ სანქციებს შემოიღებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და უკრაინის ოთხი ოლქის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ.

შეგახსენებთ: ეგრეთ წოდებული „ყირიმული სანქციები“, რომლებიც ევროკავშირმა ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ შემოიღო, ითვალისწინებს უკანონონ ანექსირებული ყირიმიდან ან სევასტოპოლიდან ევროკავშირში პროდუქციის იმპორტის, აგრეთვე ინფრასტრუქტურული ან ფინანსური ინვესტიციების და ტურისტული სერვისების აკრძალვას.

ამირან გურიელიძე

აჭარაში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია დაიწყო

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

გრიპი მწვავე ვირუსული რესპირატორული დაავადებების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლის წარმომადგენლებიც პერიოდულად ეპიდემიებსა და პანდემიებს იწვევს

გრიპისადმი მიმღებლობა ნებისმიერ ასაკში მაღალია, ამიტომაც ადვილად ვრცელდება. ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი, რომელიც ვირუსს ჰაერწვეთოვანი გზით ავრცელებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი, პირდაპირი საშუალება სეზონური გრიპის ვაქცინით აცრაა, რაც ეფექტურია გრიპის სეზონის დაწყებამდე, ამიტომაც ვაქცინაციის პროპაგანდა და კამპანია აჭარის რეგიონში სწორედ სექტემბრის ბოლოს დაიწყო.

ვის ეკუთვნის უფასოდ გრიპის ვაქცინა და რა ეფექტს გვაძლევს აცრა, ამაზე აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი **რუსუდან შავიშვილი** გვესაუბრა.

- გრიპის სეზონური პერიოდი იწყება მიმდინარე წლის მე-40 კვირიდან, მომდევნო წლის მე-20 კვირის ჩათვლით. მაგრამ იმისათვის, რომ ამ სეზონს მომზადებული შეხვდეს მოსახლეობა, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციას იტარებენ. სანამ ვაქცინაცია დაიწყება, მანამდე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომელშიც გაწერილია, სახელმწიფოს რა ტიპის ვაქცინა აქვს შემოტანილი, რა რაოდენობით და ვისთვის. ეს ეგრეთ წოდებული რისკის და პრიორიტეტული ჯგუფებია.

- რამდენი ვაქცინაა წელს შემოტანილი და ვინ მიეკუთვნება პრიორიტეტულ ჯგუფს?

- წელს შემოსულია ვაქცინის 200 000 დოზა, მწარმოებელი გახლავთ საფრანგეთის ფირმა „სანოფი“. ეს არის „ვაქსიგრიპი“, 4-კომპონენტიანი ვაქცინა. ყოველთვის წინა წლის გრიპის სეზონი და გამოვლენილი გრიპის შემთხვევები განსაზღვრავს მომდევნო წლის გრიპის ვაქცინის შემადგენლობას. ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი მეცნიერებისა მუშაობენ. ჩვენ ამ დროისთვის მოგვიწია 10 000 დოზა, აქედან 2 150 უკვე გატანილია აჭარის რეგიონში. თუ მეტი მოთხოვნა იქნება ვაქცინაციაზე, დამატება შესაძლებელია. შემოტანილი დოზა პირველადი ჯანდაცვის ქსელში ანუ პოლიკლინიკებშია განაწილებული. პრიორიტეტული ჯგუფები თითქმის არ იცვლება: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები, ორსულები, დიალიზზე მყოფი პაციენტები, C ჰეპატიტზე აქტიურ ფაზაში მყოფები, აივ-ინფექცია/შიდსზე დადებითები, ორგანოგადანერგილები, ასევე, ბავშვთა სახლისა და მოხუცთა თავშესაფრის როგორც ბინადარნი, ასევე პერსონალი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პერსონალი. პრიორიტეტულ ჯგუფს ასევე ეკუთვნის ვეტერინარიაში და გარემოს დაცვის სამსახურში, ჯარში დასაქმებული ადამიანები, თავდაცვის, შსს-ს, ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ადამიანები - სწორედ ამ კატეგორიებისთვის აცრა უფასოდ ჩატარდება. გრიპი საკმაოდ სერიოზული დაავადებაა.

- ის ადამიანები, რომლებიც რისკჯგუფებს არ მიეკუთვნებიან, როგორ შეძლებენ ვაქცინაციას?

- შეგახსენებთ, რომ აცრები დაიწყო 21 სექტემბერს და 23 სექტემბრის ჩათვლით სულ 73 ადამიანი აიცრა. იმათთვის, ვინც არ მიეკუთვნება რისკჯგუფს, არსებობს ალტერნატივა - შედის ნებისმიერ მსხვილ სააფთიაქო ქსელში, ყიდულობს ვაქცინას და რომელ პოლიკლინიკაშიც არის დაზღვეული, იქ მიიტანს ოჯახის ექიმთან და აცრიან. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ როდესაც აღნიშნული კამპანია დასასრულს უახლოვდება, ვაქცინა ნებისმიერი მსურველისთვის უფასო გახდეს, მაგრამ ვაქცინას როდესაც იკეთებს ადამიანი, ორი-სამი კვირა სჭირდება იმუნიტეტის გამომუშავებას. ამიტომაც დავიწყეთ შემოდგომის პირველ თვეს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის ჩატარების კამპანია, რომ ოქტომბერ-ნოემბერს და მომდევნო თვეებს მზად შევხვდეთ. სწორედ ამიტომ უმჯობესია, ვაქცინაცია სექტემბერში ჩატარდეს.

- რამდენად მომატებულია მომართვიანობა ვაქცინასთან დაკავშირებით?

- 2014 წლიდან დაიწყო აცრების კამპანია დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 4 000 დოზით და 200 000-ზე ავიდა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მოთხოვნაა? ბოლო წლებში განსაკუთრებით მოიმატა მსურველთა რაოდენობამ, უფრო მეტ ადამიანს უნდა იმუნური სისტემის გაუმჯობესება. ზაფხულიდან იწყება მომართვიანობა, რეკავენ ჩვენთან, ხომ იქნება ვაქცინა, ხომ მომიწევსო? აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მუდმივად უზრუნველყოფს მოსახლეობას ვაქცინებით. შესყიდვების რაოდენობასაც ზრდის და მეტი ვაქცინა შემოაქვს გრიპის საწინააღმდეგოდ. ამ ყველაფერს წინ უძღვის საინფორმაციო კამპანია, რომლის ერთ-ერთი თანამონაწილე მედიასაშუალებები, ტელევიზია, პრესა, ყველა ერთად გვეხმარება ამ ინფორმაციის გავრცელებაში, სწორედ ამის დამსახურებაა კამპანიის წარმატება.

- როდის არ შეიძლება ვაქცინის გაკეთება?

- არცერთი მწვავედ მიმდინარე პროცესის დროს არანაირი ვაქცინაციის ჩატარება არ შეიძლება. იმიტომ არის საჭირო აცრამდე ექიმთან ვიზიტი. აცრის რეაქციას რაც შეეხება, ვლინდება ტემპერატურის მატებით, კუნთების ტკივილით, საერთო სისუსტით, ეს არის ბუნებრივი და აცრის შემდგომი რეაქცია.

- რა ასაკიდან შეიძლება აცრის გაკეთება?

- 6 თვიდან შესაძლებელია გრიპის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება. თუ ორსული აიცრა, მაშინ მისი ახალშობილი დაბადებიდან 6 თვის განმავლობაში დაცულია, რადგან დედიდან გადადის იმუნიტეტი. ასევე, ლაქტაციის პერიოდში მყოფი დედაც შეიძლება აიცრას. აცრა არც დედისთვის და არც შვილისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გრიპის ვაქცინა სხვა რესპირატორული დაავადებისგან არ გვიცავს. შესაძლოა ვაქცინაგაკეთებულს გარკვეული პერიოდის შემდეგ სურდო ჰქონდეს, ტემპერატურა აუმაღლდეს, ეს არის გრიპისმაგვარი დაავადებები. ვაქცინაცია გვიცავს კონკრეტულად გრიპისგან, რომელიც ხშირად ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია.

მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის დასრულდა

პირველი გვერდიდან

დონეზე ჩატარდა, ბათუმმა თამასა გარკვეულწილად, ზევით ასწია კიდეც. ღონისძიებამდე რამდენიმე კვირით ადრე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თავდაუზოგავად იშრომა. მას გვერდით ედგა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, მერიის ყველა სამსახური. ბათუმმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ყველა საჭადრაკო ჩემპიონატის გამორჩეული მასპინძელია. ეს ჩემპიონატი განსაკუთრებული აღმოჩნდა იმითაც, რომ პირველად ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირის ისტორიაში, მსაჯებს გადაეცათ სპეციალური ფორმა.

მატჩები ორ სასტუმროში ჩატარდა, გოგონები „ლეგენდაში“ თამაშობდნენ, ჭაბუკები - „ეიფორიაში“.

ფიდეს წარმომადგენელი აკაკი იაშვილი მიესალმა მოჭადრაკეებს, შემდგომი წარმატებები უსურვა, მადლობა გადაუხადა ყველას ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

- ჩვენი პატარებისგან უფრო მეტს ველოდით. თუმცა, პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ 108 ბავშვმა ძალიან დიდი გამოცდილება მიიღო და მათ ამის შანსი არ ექნებოდათ, ჩემპიონატი რომ სხვა ქვეყანაში გამართულიყო. გამოვყოფ ბათუმელ კესარია მგელაძეს, რომელმაც კომპოზიციებში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ჩვენი სპორტსმენები მოიქცნენ ისე, როგორც კარგ მასპინძელს შეეფერება - მედლები სტუმრებს „გაატანეს“. ვიმედოვნებთ, სამომავლოდ, სხვა ქვეყანაში ჩატარებული ტურნირებიდან ისინი მედლებს საქართველოში წამოიღებენ, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ.

- ტურნირში მონაწილეობით კმაყოფილები ვართ, ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ჩემმა მოსწავლემ ალია ჟუმუმბაევამ მეოთხე ადგილი დაისაკუთრა. რა თქმა უნდა, უკეთეს შედეგს ველოდით, მაგრამ ასეთი მაღალი დონის ტურნირში პირველად მონაწილეობდა და გამოცდილება აკლდა, - გვითხრა მწვრთნელმა მადიე ისკაკოვმა ყაზახეთის ქალაქ ეკიბასტუსიდან.

- ასეთი დონის ღონისძიებები მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეებისთვის, რათა აიმაღლონ კვალიფიკაცია. აჭარიდან 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა ყველა მუნიციპალიტეტიდან. სამწუხაროა, რომ მასპინძლებმა ყვველა მედალი სტუმრებს გავატანეთ. თუმცა მთავარი მაინც ასეთი დონის ჩემპიონატში მონაწილეობა იყო. ვიმედოვნებ, ეს გზა გამარჯვებების დასაწყისი გახდება, - აღნიშნა აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ.

- ჩემპიონატი 11 ტურად ჩატარდა და პატარებისთვის საკმაოდ დამღლელი იყო. უმეტესობისთვის ეს ტურნირი პირველი იყო, სამომავლოდ მეტი გამოცდილება ექნებათ და დიდ საჭადრაკო ფორუმებზე უკეთეს შედეგს აჩვენებენ, - გვითხრა მსოფლიო ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა მარიკა ჯაფარიძემ. სწორედ მან დაასახელა გამარჯვებულები, რომლებსაც დიპლომები, თასები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

გოგონათა შორის 8 წლამდე კატეგორიაში გაიმარჯვა ინდოელმა ჩარკინ ეიმ. მან პირველად აიღო მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი. ის 8 და 10 წლამდე კატეგორიაში ინდოეთის ჩემპიონია. 12 წლამდე გოგონებშიც ინდოელი - გუფტა შუბხი იყო პირველი.

- ინდოეთის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლემა გვითხრეს, რომ ისინი უფრო მეტ მედლებს ელოდნენ (ინდოეთიდან სულ 25 მონაწილე ჩამოვიდა, მათგან ორმა გოგონამ ოქრო დაისაკუთრა, ერთი ბრინჯაო ბიჭმა აიღო).

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: გოგონებში - ჩარკი ეი (ინდოეთი), ნიკა ვენსკაია (ფიდე), გუფტა შუბხი (ინდოეთი); ჭაბუკებში: - მარკ ლარი (საფრანგეთი), დევიდ ლაკან რუსი (საფრანგეთი), არტემ უსკოვი (ფიდე).

ფიდეს პრეზიდენტმა ბათუმში ჩატარებულ ტურნირს მაღალი შეფასება მისცა, რაც იმედს იძლევა, რომ ჩვენი ქალაქი მომავალშიც გახდება მნიშვნელოვანი ტურნირების ორგანიზატორი და მასპინძელი.

„ჩვენი მხრიდან რეაგირება მოჰყვება“

„ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ოკუპირებულ აფხაზეთში ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ჩასვლას „შემაშფოთებელი“ უწოდა.

„აფხაზეთში ლუკაშენკოს ვიზიტი შემაშფოთებელი და უმძიმესი ფაქტია. გარდა იმისა, რომ ეს არამეგობრული და პოლიტიკურად არასწორი ნაბიჯია, მან დაარღვია ოკუპაციის კანონი, რასაც ჩვენი მხრიდან რეაგირება მოჰყვება. როგორც ვიცი, ელჩი უკვე დაბარებულია“, - განუცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტებს.

ცნობისთვის: ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო გუშინ ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა და აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ბიჭვინთის აგარაკზე შეხვდა. შეხვედრაზე ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხი განიხილეს. მისი თქმით, აფხაზეთთან არა მხოლოდ „მეგობრობის ხიდის“ აშენება, არამედ ძალიან სერიოზული ურთიერთობები სურთ.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/09/22, 21 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საგუნდო მუსიკის ზეიმი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში საგუნდო მუსიკის კონცერტი გაიმართა

მასში მონაწილეობდა ორი სტუმარი კოლექტივი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა (ხელმძღვანელი - ლაშა მიროტაძე), ეროვნულ სასახლესთან არსებული ახალგაზრდული კაპელა (დირიჟორი - შიო აბრახამია, სამხატვრო ხელმძღვანელი - მიხეილ ჯავახიშვილი) და ორი მასპინძელი გუნდი - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (ქორმაისტერი - ლელა დოლიძე) და ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა კამერული გუნდი (სამხატვრო ხელმძღვანელი - ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დირიჟორი - გელა ვადაჭკორია).

საღამოს უძღვებოდა საქართველოს საგუნდო საზოგადოების წარმომადგენელი შიო აბრახამია.

აღინიშნა, რომ ვინაიდან კოვიდმა ბევრი სფეროს საქმიანობა შეაჩერა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახლა საგუნდო მუსიკას, ამ პროექტის ფარგლებში, ასე ფართოდ წარმოჩენის შესაძლებლობა მიეცა.

აღნიშნული მუსიკალური კოლექტივები ბათუმს ეწვივნენ საქართველოს საგუნდო საზოგადოების პროექტ „საგუნდო მუსიკის კონცერტების“ ფარგლებში. ამ საინტერესო პროექტის ხელმძღვანელია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს საგუნდო საზოგადოების თავმჯდომარე ლია ჭონიშვილი. ამ საზოგადოებამ საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „კლასიკური მუსიკის კონცერტები და საბალეტო წარმოდგენები დედაქალაქსა და რეგიონებში“ გაიმარჯვა.

პროექტ „საგუნდო მუსიკის კონცერტების“ მიზანია საქართველოს ქალაქებს შორის არსებულ საგუნდო კოლექტივებს შორის ინტეგრაცია. დედაქალაქიდან შერჩეული რამდენიმე კოლექტივი ჩადის სხვადასხვა ქალაქში, რეგიონში, სადაც მათთან ერთად საღამოში მონაწილეობენ მასპინძელი საგუნდო კოლექტივები და ეს გუნდებს აახლოებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ათი დღის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში კონცერტები გაიმართება. ბათუმში მეორე საკონცერტო დღე შედგა (პირველი ახალციხეში იყო). მორიგ ღონისძიებას ქუთაისის ოპერის თეატრი უმასპინძლებს, იქაც რამდენიმე სტუმარ-მასპინძელი გუნდი გამოვა. ასევე გაიმართება კონცერტები მარტვილში, სენაკში, რუსთავში, ბოლნისში... შეიძლება ითქვას, რომ ათი დღის განმავლობაში მთელი საქართველო საგუნდო მუსიკით იქნება მოცული.

პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგუნდო ხელოვნების პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც. შიო აბრახამიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც რაიმე სახით მონაწილეობს პროექტში.

პირველად სცენა ბათუმის კაპელას დაეთმო, რომელიც ორი ნაწარმოებით წარსდგა მსმენელის წინაშე, შემდეგ გამოვიდა ბათუმის ქალთა კამერული გუნდი, რომელიც ნოემბერში 25 წლის იუბილეს აღნიშნავს. ბათუმელებმა - კაპელამ და ქალთა კამერულმა გუნდმა, როგორც ყოველთვის, მსმენელი პროფესიონალიზმით მოხიბლეს. მაღალ საშემსრულებლო დონეზე შესრულდა როგორც ქართველ, ისე ევროპის ცნობილ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები.

თუ კონცერტის პირველი ნაწილი აკადემიურ გუნდებს დაეთმო, მეორე ბლოკში მოვუსმინეთ ახალგაზრდა, თბილისურ კოლექტივებს - ორ მოყვარულთა გუნდს. პირველი გახლდათ საქართველოს ეროვნულ სასახლესთან არსებული თბილისის ახალგაზრდული კაპელა, რომელსაც 5 ოქტომბერს დაარსებიდან ერთი წელი უსრულდება. ფრიად სასიამოვნოა, რომ პროექტში ახალგაზრდები მონაწილეობენ. როგორც შიო აბრახამიამ გვითხრა, ისინი პირველად გამოვიდნენ ასეთ დიდ სცენაზე - მათ მხოლოდ სატელევიზიო დებიუტი ჰქონდათ ახალი წლის ღამეს, ამიტომ ბათუმურ საღამოზე ძალიან ღელავდნენ.

- ეს ჩვენი პირველი გამოსვლა იყო თქვენთან - ბათუმში. რა თქმა უნდა, ვღელავდით. ასეთი საზოგადოების წინაშე, თანაც აკადემიური გუნდების შემდეგ გამოვედით. გუნდში მხოლოდ 20 პროცენტი მღერის ისეთი, რომელსაც მუსიკალური განათლება აქვს და ნოტების წერა იცის, - თქვა შიო აბრახამიამ.

ახალგაზრდულ კაპელას რამდენიმე წევრი აკლდა - 15 წლამდე პატარები არ ჩამოიყვანეს. მიუხედავად ამისა, შესანიშნავად წარმოჩნდა გუნდი, რომელმაც მრავალხმიანი საგუნდო სიმღერები აკაპელად შემოგვთავაზა. ბრწყინვალე სოლისტებითაც - მიხეილ ჯავახიშვილი და მარიამ ერქომაიშვილი (ანზორ ერქომაიშვილის შვილიშვილი) მოიწონა თავი ახალგაზრდების კაპელამ. გია ყანჩელის ორი ნაწარმოების არანჟირების ავტორად შიო აბრახამია მოგვევლინა. ყველაფერი შესანიშნავი იყო - გუნდი, სოლისტები, არანჟირება. მსმენელი მოიხიბლა გიორგი ჩუბინიშვილის ქალაქური ფოლკლორის „ჩუმ ბაღნარში“ მიხეილ ჯავახიშვილის, შიო აბრახამიას და გუნდის შესრულებით (გიტარა - იური კობახიძე). ვფიქრობთ, სულ მალე ეს კაპელა იმ სახელოვან კოლექტივებს შორის ჩადგება, დღეს ქართულ ხელოვნებას რომ ალამაზებენ. სასცენო დებიუტი ნამდვილად შედგა, თანაც მაღალ დონეზე და გვიხარია, რომ ბათუმმა დაულოცა მათ გზა დიდი სცენებისკენ.

ასევე არაჩვეულებრივი იყო თსუ-ის სტუდენტური კაპელა, რომელიც 8 წლის წინათ შეიქმნა და მას უკვე წარმატებულ კოლექტივთა სიაში მოიხსენიებენ. დირიჟორმა ლაშა მიროტაძემ რამდენიმე წელიწადში შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა. გუნდში მღერიან კონსერვატორიის სტუდენტები, რომელთა უმრავლესობა ჯერ გუნდის წევრი გახდა და შემდეგ ჩაებარა კონსერვატორიაში. მათ შეასრულეს როგორც ძველი, ცნობილი, ისე თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები.

დიდი მოწონება ხვდა წილად თითოეულ გუნდს, რაც ნამდვილად დაიმსახურეს, ეს საღამო საგუნდო მუსიკის ნამდვილი ზეიმი გახლდათ.

- მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომ ასეთ კარგ პროექტში ბათუმელი კოლექტივებიც მონაწილეობენ. მადლობა ქალბატონ ლია ჭონიშვილს ესოდენ კარგი პროექტისთვის, რომელიც არა მხოლოდ თბილისს, არამედ საქართველოს ბევრ რეგიონს მოიცავს. მოვუსმინეთ შესანიშნავ ახალგაზრდა შემსრულებლებს, რომელთა შორისაა მიხეილ ჯავახიშვილი, - აღნიშნა მუსიკოსმა ქეთევან მანელიშვილმა.

ბათუმს, ისევე როგორც მთელ საქართველოს, ნამდვილად ჰყავს შესანიშნავი გუნდები და კარგი იქნება, თუ საგუნდო მუსიკის საღამოები ტრადიციული გახდება.

სპექტაკლი – საქართველოს ტკივილიან წარსულზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით აჭარის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის სპექტაკლი „საიდანაც მზე მოდიოდა“ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების საპატივცემულოდ გაიმართა. სპექტაკლს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია დაესწრო.

სპექტაკლში ასახულია ახალგაზრდა წყვილის ცხოვრება, რომელიც მაყურებელს საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარ მნიშვნელოვან და ტრაგიკულ მოვლენებზე მოუთხრობს. სპექტაკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აგვისტოს ომს, რომლის შედეგადაც როგორც ქვეყანას, ასევე ადამიანებს დიდი ტკივილი მიადგათ.

- ძალან გვინდოდა სპექტაკლით ქართული კულტურის, ტრადიციების და ფოლკლორის პოპულარიზაცია, თუმცა, ქართული კულტურა არ არსებობს ისტორიის გარეშე. ჩვენი უახლოესი წარსული საკმაოდ სევდიანია, ჯერ კიდევ გვაქვს ოკუპირებული და დაკარგული ტერიტორიები, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მალე დავიბრუნებთ. ტექსტი, რომელიც ომის სცენებს გასდევს ლაიტმოტივად, რეალური და დოკუმენტურია, რაც ძალიან მძაფრად გაითავისეს მსახიობებმა და შესაბამისად, მაყურებელმა, - გვითხრა რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა.

როგორც მსახიობმა ვანო მაღლაკელიძემ გვითხრა, მთელი სიცხადით განიცადა ის ყველაფერი, რაზეც სპექტაკლი თოჯინების საშუალებით უყვება მაყურებელს.

- სპექტაკლი მომავალ თაობაზეა გათვლილი, მათ უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენია, ეს დაკარგული ტერიტორიები არ არის და ეს საქართველოა, - აღნიშნა მსახიობმა.